

Translation of **Bologna guidelines for diagnosis and management of adhesive small bowel obstruction (ASBO): 2013 update of the evidence-based guidelines from the world society of emergency surgery ASBO working group**

წვერილი ნაწლავის შეხორცებითი გაუვადობის (ASBO) დიაგნოსტიკისა და მართვის ბოლონის რეკომენდაციები: 2013 წლის მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების განახლება გადაუდებელი ქირურგიის მსოფლიო საზოგადოების ASBO-ს სამუშაო ჯგუფის მიერ

Salomone Di Saverio,^{1†} Federico Coccolini,⁵ Marica Galati,¹ Nazareno Smerieri,¹ Walter L Biffl,⁴ Luca Ansaloni,⁵ Gregorio Tugnoli,¹ George C Velmahos,⁷ Massimo Sartelli,⁸ Cino Bendinelli,¹³ Gustavo Pereira Fraga,¹⁷ Michael D Kelly,³ Frederick A Moore,¹¹ Vincenzo Mandalà,⁶ Stefano Mandalà,⁶ Michele Masetti,¹ Elio Jovine,¹ Antonio D Pinna,² Andrew B Peitzman,¹⁶ Ari Leppaniemi,¹⁵ Paul H Sugarbaker,⁹ Harry Van Goor,¹⁰ Ernest E Moore,⁴ Johannes Jeekel,¹² and Fausto Catena^{2,14*†}

¹Emergency and Trauma Surgery Unit, Departments of Emergency and Surgery, Maggiore Hospital Trauma Center, Bologna, Italy; ²Emergency Surgery Unit, Department of General and Multivisceral Transplant Surgery, S Orsola Malpighi University Hospital, Bologna, Italy; ³Upper GI Unit, Department of Surgery, Frenchay Hospital, North Bristol, NHS Trust, Bristol, UK; ⁴Department of Surgery, Denver Health, University of Colorado Health Sciences Denver, Denver Health Medical Center, , Denver, CO, USA; ⁵General Surgery I, Ospedali Riuniti di Bergamo, Bergamo, Italy; ⁶Department of General and Emergency Surgery, Associated Hospitals "Villa Sofia - Cervello", Palermo, Italy; ⁷Department of Surgery, Massachusetts General Hospital, Harvard Medical School, Boston, MA, USA; ⁸Department of Surgery, Macerata Hospital, Macerata, Italy; ⁹Washington Cancer Institute, Washington Hospital Center, Washington, DC, USA; ¹⁰Department of Surgery, Radboud University Nijmegen Medical Centre, Nijmegen, The Netherlands; ¹¹Department of Surgery, University of Florida, Gainesville, FL, USA; ¹²Department of Surgery, Erasmus University Medical Center, CA, Rotterdam, The Netherlands; ¹³Department of Surgery, John Hunter Hospital and University of Newcastle, Locke Bag 1 Hunter Region Maile Centre, Newcastle, NSW, Australia; ¹⁴Department of Emergency and Trauma Surgery, Maggiore Hospital of Parma, Parma, Italy; ¹⁵Emergency Surgery, Department of Abdominal Surgery, Meilahti Hospital, University of Helsinki, Helsinki, Finland; ¹⁶Division of General Surgery, University of Pittsburgh Physicians, Pittsburgh, PA, USA; ¹⁷Division of Trauma Surgery, University of Campinas, Campinas, SP, Brazil

Source: this paper is an abridged translation of: Di Saverio S, Coccolini F, Galati M, et al. Bologna guidelines for diagnosis and management of adhesive small bowel obstruction (ASBO): 2013 update of the evidence-based guidelines from the world society of emergency surgery ASBO working group. World J Emerg Surg 2013;8:42, DOI 10.1186/1749-7922-8-42.

Acknowledgements: this paper was translated by Georgian Surgical Association

Correspondence: Prof. Gia Tomadze. President, Georgian Surgical Association. President, Georgian Assoc. of Transplantologists. Director, General Surgery Clinic. Head, Transplantology Department, High Tech Medical Center. Surgery Department #2, Tbilisi State Medical University. 9 Tsinandali street, Tbilisi, 0144, Georgia. Mob.: +99 55 99 55 33 11. Phone/fax: +995 32 277 18 19. E-mail: giatomadze@global-erty.net

Licensee PAGEPress, Italy

Journal of Peritoneum (and other serosal surfaces) Translations: 112

This article is distributed under the terms of the Creative Commons Attribution Noncommercial License (by-nc 4.0) which permits any noncommercial use, distribution, and reproduction in any medium, provided the original author(s) and source are credited.

რეზიუმე

საფუძველი

წვრილი ნაწლავის შეხორცებითი გაუვალაობის დიაგნოსტიკისა და მართვის 2013 წლის რეკომენდაციები გადაიხედა და განახლდა WSES ASBO-ს სამუშაო ჯგუფის მიერ, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ალგორითმების და კონსერვატიული მკურნალობის ფოკუსური ჩვენებებისა და უსაფრთხოების, ქირურგიული ჩარევის ვადების და ლაპაროსკოპიის ჩვენებების შემუშავების მიზნით.

რეკომენდაციები

სტრანგულაციის ნიშნების, პერსისტენტული პირღებინების ან კომპიუტერული ტომოგრაფიული ნიშნების ერთობლიობის (თავისუფალი სითხე, მეზენტერული შეშუპება, წვრილი ნაწლავის ფეკალური მასების ნიშანი, დევასკულარიზაცია) არარსებობის შემთხვევაში, წვრილი ნაწლავის ნაწილობრივი შეხორცებითი გაუვალაობის მქონე პაციენტებში შესაძლებელია უსაფრთხოდ განხორციელდეს არაოპერაციული მართვა და მილით დეკომპრესიის მცდელობა. ეს პაციენტები წყალში ხსნადი კონტრასტირების (WSCM) კარგი კანდიდატები არიან როგორც სადიაგნოსტიკო, ისე თერაპიული მიზნითაც. წყალში ხსნადი კონტრასტირების რადიოლოგიური ვიზუალიზაცია ხორციელდება მიღებიდან 24 საათის ფარგლებში, მსხვილ ნაწლავიდან მის გამოყოფამდე. WSCM შეიძლება გამოყენებული იყოს ან პერორალურად, ან ნაზოგასტრალური მილით, ჰოსპიტალიზაციისთანავე ან უშედეგო კონსერვატიული მკურნალობისას 48 საათის განმავლობაში. WSCM-ის გამოყენება უსაფრთხოა და ამცირებს ქირურგიული ოპერაციის საჭიროებას, სიმპტომების ალაგების დროსა და სტაციონარში დაყოვნების ვადებს. არაოპერაციული მართვა სტრანგულაციის ან პერიტონიტის ნიშნების არარსებობისას შეიძლება გაგრძელდეს 72 საათამდე. უშედეგო არაოპერაციული მართვის 72 საათის შემდეგ რეკომენდებულია ოპერაცია.

არაოპერაციულად ნამკურნალე პაციენტებში სტაციონარში დაყოვნების ვადები უფრო ხანმოკლეა, მაგრამ შედარებით მაღალია რეციდივის მაჩვენებელი და განმეორებითი ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდი უფრო ხანმოკლეა, თუმცა წვრილი ნაწლავის შეხორცებითი გაუვალაობის ქირურგიული მკურნალობის შემდეგ ახალი მომართვის რისკი უცვლელია. რეციდივების რისკ-ფაქტორებია: 40 წელზე ნაკლები ასაკი და მკვრივი შეხორცებები. WSCM არ ამცირებს რეციდივის სიხშირეს ან რეციდივებს ოპერაციის საჭიროებით.

ღია ოპერაცია ხშირად გამოიყენება სტრანგულაციური ASBO-თვის, და ასევე, კონსერვატიული მართვის უშედეგობის შემთხვევაში. შერჩეულ პაციენტებში და შესაბამისი უნარების არსებობისას მიზანშეწონილია ლაპაროსკოპიული მიდგომა, ღია ჩარევის ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობით. მარცხენა ზედა კვადრანტის ან მარცხენა გვერდითი მიდგომა ყველაზე უსაფრთხოა და უნდა მოხდეს ობსტრუქციის

გამომწვევი შეხორცებების იდენტიფიცირება და გათიშვა ბასრი წესით. სასურველია ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისის მცდელობა SBO პირველი ეპიზოდის და/ან სავარაუდოდ ერთი ზონარის არსებობისას. უნდა შენარჩუნდეს ღია კონვერსიის დაბალი ზღურბლი.

აუცილებელია პერიტონეული შეხორცებების პროფილაქტიკა. ჰიალურონის მჟავა-კარბოქსიცილოლოზური მემბრანა და იკოდექსტრინი ამცირებენ შეხორცებების სიხშირეს. იკოდექსტრინმა შეიძლება შეამციროს განმეორებითი ობსტრუქციის რისკი. ჰიალურონის მჟავა ვერ ამცირებს ოპერაციის საჭიროებას.

შეხორცებების რაოდენობრივი და ქულებით შეფასება შეიძლება სასარგებლო იყოს შეხორცებების სიმძიმის სტანდარტიზებული შეფასების და შემდგომი კვლევისათვის წვრილი ნაწლავის შეხორცებითი გაუვალაობის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

WSES გაიდლაინების საფუძველი

წვრილი ნაწლავის შეხორცებითი ობსტრუქცია საჭიროებს სათანადო მართვას სათანადო დიაგნოსტიკური და თერაპიული მეთოდებით. არა-ოპერაციული მკურნალობის ჩვენება და ხანგრძლივობა, და ოპერაციის შესაბამისი დროითი ჩარჩოები შეიძლება წარმოადგენდეს ვერაგულ საკითხს. ქირურგიული მკურნალობის დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ავადობისა და სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი ზრდა. თუმცა განმეორებითმა ლაპაროსკოპიამ და ადჰეზიოლიზისმა შეიძლება გააუარესოს შეხორცებების ფორმირების პროცესი და მათი სიმძიმე. გარდა ამისა, ლაპაროსკოპიის ფართოდ დანერგვამ წამოჭრა ლაპაროსკოპიული მიდგომისთვის ASBO-ს მქონე შესაბამისი პაციენტების კარგ კანდიდატად შერჩევის საკითხი. მეორეს მხრივ, ამჟამად ხელმისაწვდომია NOM- ის მაჩვენებლის წარმატების და ჩვენებების გარკვევის და ოპერაციის ვადების გასაუმჯობესებლად რამდენიმე დამხმარე საშუალება, როგორცაა ჰიპეროსმოლარული წყლ-ხსნადი-კონტრასტის-ნიდაგი.

ASBO- ს მქონე პაციენტების დიაგნოსტიკასა და მართვაში კონსენსუსი არ არის მიღწეული, და არ არსებობს სპეციფიკური და განახლებული გაიდლაინები.

ჩვენ ჩავატარეთ ინგლისურენოვანი ლიტერატურის ვრცელი მიმოხილვა და აღმოვაჩინეთ, რომ არსებობდა მცირე რაოდენობის მაღალი დონის მტკიცებულებები ამ სფეროში, და არ არსებობდა სისტემატურად აღწერილი პრაქტიკული სახელმძღვანელო ამ სფეროსათვის. რაც ყველაზე მთავარია, არ არსებობს ASBO- ს სტანდარტიზებული დიაგნოსტიკური კრიტერიუმები და თერაპიული მართვის გაიდლაინები. ამგვარად, ჩვენ გვსურს ამ სტანდარტების დამკვიდრება ამ საკითხებში. ბოლონის გაიდლაინები მოიცავს მტკიცებულებებზე დამყარებულ მედიცინას და ასახავს საერთაშორისო კონსენსუსს, მიღებულს გულწრფელი დისკუსიის საშუალებით პროფესიონალებს შორის ამ სფეროში, რომელიც

ჩატარდა 2010 წლის 1-3 ივლისს, ბოლონის ბელმელოროს კონვენციის ცენტრში, იტალიაში.

ჩვენ მიზნად ვისახავდით გაიდლაინების პირველი ვერსიის ვალიდაციას და დახვეწას, ჰიპოთეზის საშუალებით, რომ მოდელი, რომელიც აერთიანებს მკურნალობის ალგორითმს, იქნება პროგნოზული, მოახდენს სტრანგულაციის დაყოვნებული მართვის პრევენციას და წარმატებულად იქნება გაუმჯობესებული.

ამგვარად, 2013 წელს მოხდა გაიდლაინების გადანედვა და განახლება WSES-ის ASBO-ს სამუშაო ჯგუფის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შემუშავებით მტკიცებულებებზე დამყარებული ალგორითმების საშუალებით (სურათი 1, სურათი 2).

გარდა ამისა, ტრადიციულ მართვას შეუძლია დაეხმაროს


მკურნალობის სტანდარტიზაციაში რაიონული, რეგიონული, ან სახელმწიფოს მასშტაბით, რათა დაკმაყოფილებული იქნას “კლინიკური ეფექტურობისა” და “ეკონომიკური ეფექტურობის” სამთავრობო კორპორაციული მოთხოვნები, გაუმჯობესებული გამოსავლების შედეგებითა და შემცირებული ხარჯებით.

ეფექტურობის გაუმჯობესება ნებისმიერი პრაქტიკული მართვის გაიდლაინის მთავარი საკითხია.

შენიშვნები გაიდლაინების გამოყენების შესახებ

გაიდლაინები არის მტკიცებულებებზე-დამყარებული, და აგრეთვე რეკომენდაციის ხარისხებიც დამყარებულია მტკიცებულებებზე.

Diagnosis of ASBO



სურათი 1.

გაიდლაინები წარმოადგენს დიაგნოსტიკურ და თერაპიულ მეთოდებს ASBO-ს ოპტიმალური მართვისა და პრევენციისათვის.


ამ ნაშრომში გამოქვეყნებული პრაქტიკული გაიდლაინები არ წარმოადგენს პრაქტიკის სტანდარტს. ისინი გვთავაზობენ მკურნალობის გეგმებს, დამყარებულს საუკეთესო ხელმისაწვდომ მტკიცებულებებზე, ექსპერტების კონსენსუსზე, მაგრამ ისინი არ გამოირიცხავენ სხვა მიდგომებს პრაქტიკული სტანდარტების ფარგლებში. მაგალითად, ისინი არ უნდა იქნას გამოყენებული, სამედიცინო მართვის მოცემული მეთოდის მიმართ იძულებისათვის, ასეთი მეთოდი საბოლოოდ უნდა განისაზღვროს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში პირობების (პერსონალის დონეები, გამოცდილება, აღჭურვილობა და ა.შ.) და ინდივიდუალური

პაციენტის მახასიათებლების გათვალისწინებით. თუმცა, პასუხისმგებლობა მკურნალობის შედეგებზე ეკისრება მათ, ვინც უშუალოდ მონაწილეობს მასში და არა კონსენსუსის ჯგუფს.

განმარტება

აბდომინალური შეხორცებების ფორმირება შეიძლება დაიწყოს ოპერაციის შემდეგ რამდენიმე საათის ფარგლებში, და ის წარმოადგენს ნაწლავის ობსტრუქციის ყველაზე გავრცელებულ მიზეზს, მათით გამოწვეულია SBO-ს 60% -დან 70% -მდე. შეხორცებითი პოსტოპერაციული წვირილი ნაწლავის ობსტრუქცია ხასიათდება მუცლის ტკივილით, ღებინება, შებერილობით და გაუჯალობით, მათ დამადასტურებელი ვიზუალიზაციურ შედეგებთან ერთად.

Treatment of ASBO



სურათი 2.

რისკ-ფაქტორები

არა-ოპერაციულ ნამკურნალებ ASBO- ს მქონე პაციენტებს აღენიშნებათ უფრო მოკლე სტაციონარში ყოფნის პერიოდი, თუმცა მათ აქვთ უფრო მაღალი რეციდივის სისშირე, განაგრძებით ჰოსპიტალიზაციის უფრო მოკლე დრო, თუმცა ASBO- ს განმეორებით ქირურგიულად მკურნალობის ეპიზოდების რისკი იგივეა (მტკიცებულების 2b დონე).

SBO შეიძლება კლასიფიცირებული იყოს სისრულის მიხედვით: ნაწილობრივი შედარებით სრულთან (ანუ მაღალი ხარისხი დაბალი ხარისხთან შედარებით) ეტიოლოგიის მიხედვით: შეხორცებითი არა-შეხორცებითი შედარებით, დროის მიხედვით: ადრეული დაყოვნებული შედარებით (ოპერაციიდან > 30 დღის შემდეგ)

მაშინაც კი, თუ ზიელინსკიმ და ბანონმა შემოგვთავაზეს გადასვლა

SBO- ს დიფერენცირების ტრადიციული ფოკუსირებიდან ერთერთ პროგნოზულ NOM- ის უშედეგობაზე, მოსალოდნელი უშედეგობის მქონე პაციენტების რაც შეიძლება მალე გამოკვლევის მიზნით.

შეხორცებითი SBO-ს ყველაზე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი არის ოპერაციის ტიპი და პერიტონეუმის დაზიანების ხარისხი.

პროცედურის ტექნიკა (ღია ლაპაროსკოპიულის საპირისპიროდ) მნიშვნელოვან როლს თამაშობს შეხორცებებთან დაკავშირებული ავადობის განვითარებაში. მუცლის ღრუს 446.331 ოპერაციის რეტროსპექტულ მიმოხილვაში, გალინოსმა და სხვებმა შენიშნეს, რომ სისშირის მაჩვენებელი იყო 7.1% ღია ქოლევსტექტომიისას, შედარებით 0.2%-თან ლაპაროსკოპიის დროს; 15.6 ღია ტოტალური აბდომინალური ჰისტერექტომიების დროს შედარებით 0.0%-თან ლაპაროსკოპიის დროს; 23.9% ღია საშვილოსნოს დანამატების ოპერაციების დროს 0.0% ლაპაროსკოპიურთან შედარებით, და არ იყო მნიშვნელოვანი განსხვავება ღია და ლაპაროსკოპიულ აპენდექტომიებს შორის (1.4% შედარებით 1.3%-თან).

შემდგომ უახლეს ნაშრომში რეშეფმა და სხვებმა შეადარეს ASBO- ს რისკი 205 პაციენტში, რომლებსაც ჩაუტარდათ ლაპაროსკოპიული კოლორექტალური ოპერაცია 205 პაციენტთან რომლებსაც ჩაუტარდათ მსგავსი ღია ოპერაციები, ორივე ჯგუფში ღია ოპერაციის ადრინდელი ანამნეზის გარეშე. საშუალო 41 თვიანი შემდგომი დაკვირვების შემდეგ ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი ASBO-ს გამო იყო მსგავსი (9% შედარებით 13%-თან, p = 0.3

ლაპაროსკოპიულ და ღია ჯგუფებში), ოპერაციული ჩარევის საჭიროება ASBO-ს გამო მნიშვნელოვნად უფრო დაბალი იყო ლაპაროსკოპიული ოპერაციების შემდეგ (2% შედარებით 8%-თან, p = 0.006). ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ მოსალოდნელია შეხორცებების უფრო დაბალი სისშირე ლაპაროსკოპიური ოპერაციის შემდეგ სავარაუდოდ ნიშნავს გრძელვადიან პერსპექტივაში სარგებელიანობას შემცირებული SBO-ს მხრივ.

სხვა კარგად ცნობილი რისკ-ფაქტორები მოიცავს მსხვილი ნაწლავისა და სწორი ნაწლავის ოპერაციებს (მაგ. ტოტალური კოლექტომია თუძოს ნაწლავის ჯიბე-ანალური ანასტომოზით), გინეკოლოგიურ

ოპერაციებს , 60 წელზე ნაკლებ ასაკს , ადრინდელი ლაპაროტომიას 5 წლის ფარგლებში, პერიტონიტს, მრავალჯერადი ლაპაროტომიებს, გადაუდებელ ოპერაციას, ბადექონის რეზექციას და მუცლის პენეტრირებულ ტრავმას, განსაკუთრებით ცეცხლნასროლ ჭრილობებს, ადრინდელი ASBO-ს ეპიზოდების დიდ რაოდენობას.

საწყისი შეფასება

აკურატული ფიზიკალური გასინჯვისა და ლეიკოციტების, ლაქტატის, ელექტროლიტების, შარდოვანას / კრეატინინის შეფასების შემდეგ, ASBO- ს დიაგნოსტიკური კვლევების პირველი ეტაპია სუპინაციის და ვერტიკალურ პოზიციებში მუცლის ღრუს მიმოხილვითი რენტგენოგრაფია რომელსაც შეუძლია აჩვენოს მრავალი ჰაერ-სითხოვანი დონეები, წვრილი ნაწლავის მარყუქების შებერილობა და მსხვილი ნაწლავის სექტორში გაზების არარსებობა [11].

ყველა პაციენტს, რომელიც ფასდება წვრილი ნაწლავის ობსტრუქციაზე, უნდა ჩაუტარდეს მიმოხილვითი რენტგენოგრაფია (მტკიცებულების დონე 2b GoR C).

შეაღებური შეფასება

CT სკანირება მაღალი დიაგნოსტიკური მნიშვნელობისაა SBO- ს დროს და აქვს უდიდესი მნიშვნელობა ყველა პაციენტში, რომლებსაც აქვთ სრული ან მაღალი ხარისხის SBO-ს მიმართ გაურკვეველი მიმოხილვითი რენტგენოგრაფიის მონაცემები [12]. თუმცა CT- სკანირება არ უნდა ჩატარდეს რუტინულად

გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მხოლოდ მაშინ, თუ კლინიკური ანამნეზის, ფიზიკალური გასინჯვის და მიმოხილვითი რენტგენოგრაფიის მონაცემები გაურკვეველია, რომ მათ საფუძველზე დაისვას წვრილი ნაწლავის ობსტრუქციის დიაგნოზი (მტკიცებულების 2b GoR B დონე).

CT სკანირება ხშირად გვაძლევს საშუალებას, დადასტურდეს სრული ობსტრუქციის არსებობა, რათა მიხედვს SBO-ს მიზეზის დიაგნოზის დასმა, ის ასევე გამოირიცხავს არა-შეხორცებითი პათოლოგიას და აფასებს სტრანგულაციის არსებობას 90% -ზე მეტი სენსიტიურობითა და სპეციფიკურობით, და თითქმის 100% -იანი NPV-ით.

ნაწლავის იშემიის CT სკანირების ნიშნების ასოცირებამ უნდა მიგვიყვანოს ოპერაციული ჩარევის დაბალ ზღურბლთან (მტკიცებულების დონე 2a GoR B). ულტრაბგერით გამოკვლევას აქვს შეზღუდული ღირებულება ნაწლავის ობსტრუქციისთვის ან პაციენტებში შებერილი ნაწლავებით, რადგანაც ჰაერმა შენიღბოს გამომწვევი მდგომარეობები. ჩვეულებრივი ულტრაბგერითი დასკვნებია: შებერილობა, პერიტონალტიკა (გაუვალობის დიფერენციალური დიაგნოზი მექანიკურ SBO-თან), განსხვავებით ლორწოვანის ნაკვებში გადასვლის წერტილში, თავისუფალი სითხე (იშემიის ნიშანი). MRI-ის გამოყენება უნდა შემოიფარგლოს იმ პაციენტებით, რომლებსაც აქვთ CT-ის ან იოდის კონტრასტის მიმართ უკუჩვენებები (მტკიცებულების დონე 2c GoR C).

წყალ-ხსნადი კონტრასტის შემდგომი გასვლის დაკვირვება არის სასარგებლო პაციენტებისთვის, რომლებსაც უტარდებათ საწყისი არა- ოპერაციული კონსერვატიული მართვა, რათა გამოირიცხოს

სრული ASBO და მოხდეს ოპერაციის საჭიროების პროგნოზირება (მტკიცებულების დონე 1b GoR A). წყალ-ხსნადი კონტრასტის გამოყენებას აქვს დიაგნოსტიკური და ასევე თერაპიული მნიშვნელობა.

ეს გამოკვლევა ბარიუმზე უსაფრთხოა პერფორაციის და პერიტონეული გავრცელების შემთხვევაში და აქვს შესაძლო თერაპიული მნიშვნელობა წვრილი ნაწლავის შეხორცებითი ობსტრუქციის შემთხვევაში.

კონსერვატიული მკურნალობა და ოპერაციის დროითი ჩარჩოები

ASBO- ს მართვა საკამათოა, რადგან ოპერაციამ შეიძლება გამოიწვიოს ახალი შეხორცებები, ხოლო კონსერვატიული მკურნალობა არ აღმოფხვრის ობსტრუქციის მიზეზს. კონსერვატიული მკურნალობა მოიცავს ნაწლავსტრალურ ინტუბაციას, ინტრავენურად სითხის გადასხმას და კლინიკურ დაკვირვებას.

ნაწლავის სტრანგულაცია მოითხოვს დაუყოვნებლივ ოპერაციას, მაგრამ ნაწლავის იშემიის შეიძლება იყოს კლინიკურად რთული განსასაზღვრად.

პოტენციურად, მწვავე ქირურგიული მოკვლის (ACS) მოდელმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს SBO- ს მქონე პაციენტებზე, რადგანაც ისინი შეიძლება გადაეცნეს ერთი ქირურგიიდან სხვა ქირურგებს საბოლოო მკურნალობის გარეშე. ამ პაციენტებს შეიძლება არ დასჭირდეთ ოპერაცია თავდაპირველად, მაგრამ შეიძლება დასჭირდეთ ის შემდგომში

გართულებების განვითარების გამო, ან თუ SBO არ აღაგდება კონსერვატიული მკურნალობით.

ავსტრალიურ რეტროსპექტულ კვლევაში ლიენმა და სხვებმა შენიშნეს, რომ, ACS-ს პერიოდში, არ აღინიშნებოდა მნიშვნელოვანი განსხვავება გართულებების სიხშირის ან სტაციონარში ყოფნის ხანგრძლივობის მხრივ მათ შორის, ვინც გადაეცემოდა ხელიდან ხელში, და ვინც არა, როგორც ACS-მდე, ასევე ACS -ის პერიოდში.

ავტორების თანახმად, კლინიკურ გადაცემას შეუძლია უზრუნველყოს პაციენტის მართვისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებში "აუდიტის წერტილი". უფრო მეტიც, უფრო დიდი კლინიკური გამოცდილების მქონე ექიმების მონაწილეობით შეიძლება შემცირდეს შეცდომები ინფორმაციის გადაცემაში პოტენციური გართულებების ამოცნობაში მეტი ინტუიციის წყალობით. SBA- ს გამო ოპერაციის დაყოვნება აყენებს პაციენტებს ნაწლავის რეზექციის უფრო მაღალი რისკის ქვეშ.

რეტროსპექტულ მიმოხილვაში ლეუნგმა და კოლმა დაასკვნეს, რომ უფრო ახალგაზრდა პაციენტებში (P = 0.001), ადრინდელი ოპერაციის გარეშე (P <0.001) და შეხორცებითი დაავადების არარსებობისას (P <0.001) უფრო სავარაუდოა, რომ გადაწყდეს ოპერაცია. CT სკანირების ჩატარება (P = 0.029) ან რენტგენოგრაფია (P <0.001) იყო ფაქტორები, რომლებიც ზრდიდა საოპერაციომდე (OR) დროს.

ჯგუფში OR -მდე 24 საათზე ნაკლები დროით, ნაწლავის რეზექცია ჩატარდა პაციენტების 12%-ს, ხოლო პაციენტების 29%-ს OR -მდე 24 საათზე მეტი დროით დასჭირდათ ნაწლავის რეზექცია.

წამოჭრილია რამდენიმე საკითხი ASBO- ს მქონე პაციენტების მართვასთან დაკავშირებით.

ოპერაციული მართვა თუ არა-ოპერაციული მართვა

პაციენტები სტრანგულაციის ან პერიტონიტის ნიშნების, ან ანამნეზში მუდმივი ლეზიების ან CT სკანირების ნიშნების (თავისუფალი სითხე, ჯორჯლის შემუშება, ფეკალური ნიშნების არარსებობა, დევასკულირებული ნაწლავი) და ნაწილობრივი ASBO-ს გარეშე შეიძლება უსაფრთხოდ ჩატარეთ არა-ოპერაციული მართვა (LoE 1a GoR A).

ამ პაციენტებში უნდა განხორციელდეს მილით დეკომპრესიის მცდელობა (მტკიცებულების დონე 1b GoR A), NGT ან LT-ით.

ASBO- ს მქონე კონსერვატიულად ნამკურნალე პაციენტებში დრენაჟის მოცულობა გრძელი მილის საშუალებით მე-3 დღეს (ზღვრული მნიშვნელობა 500 მლ) იყო ოპერაციის ჩვეულება.

ასევე პაციენტებში განმეორებითი ეპიზოდებით და მრავალი ადრინდელი ლაპაროტომიებით შეხორცებების გამო, განხგრძლივებული კონსერვატიული მკურნალობა (მათ შორის პარენტერალური კვებით მხარდაჭერა) შეიძლება იყოს გონივრული და ხშირად თავიდან აგვარიდებს კომპლექსურ მაღალ რისკიან პროცედურას, მაგრამ დამატებითი დიაგნოსტიკური საშუალებების გამოყენება შეიძლება იყოს სასურველი იმ პაციენტების იდენტიფიკაციისათვის, რომლებსაც დასჭირდებათ ადრეული ოპერაციული მკურნალობა.

პაციენტები, რომლებსაც ჩატარდათ ოპერაცია ექვსი კვირის ფარგლებში წვრილი ნაწლავის ობსტრუქციის ეპიზოდამდე, პაციენტები სტრანგულაციის ან პერიტონიტის ნიშნებით (ცხელება, ტაქიკარდია და ლეიკოციტოზი, მეტაბოლური აციდოზი და უწყვეტი ტკივილი), პაციენტები ჩაუსწორებელი თიაქარით და პაციენტები, რომლებსაც დაეწყოთ ალაგების ნიშნები ჰოსპიტალიზაციისას, არ არიან კონსერვატიული მკურნალობის +/- WSCA გამოყენების კანდიდატები (მტკიცებულების დონე 1a GoR A).

სრული SBO (მსხვილ ნაწლავში ჰაერის არარსებობისას) და შრატის კრეატინფოსფოკინაზას მონატება NOM-ის უშედეგობის პროგნოზული ფაქტორია (მტკიცებულების დონე 2b GoR C). თავისუფალი ინტრაპერიტონალური სითხე, ჯორჯლის შემუშება, "წვრილი ნაწლავის ფეკალური ნიშნის" არარსებობა CT-ით, და ანამნეზში ლეზინება, მუცლის ძლიერი ტკივილი (VAS> 4), მუცლის დაზოგვა, ლეიკოციტების მონატება და დევასკულირებული ნაწლავი CT-ით ჰოსპიტალიზაციისას გადაუდებელი ლაპაროტომიის საჭიროების პროგნოზული ფაქტორია (მტკიცებულების დონე 2c GoR C).

მსხვილ ნაწლავში წყალ- ხსნადი კონტრასტის გამოჩენა მუცლის ღრუს რენტგენოგრაფიაზე მისი გამოყენებიდან 24 საათის ფარგლებში ASBO- ს ალაგების პროგნოზული ფაქტორია (მტკიცებულების დონე 1a GoR A).

ASBO- ს მქონე პაციენტებში, რომლებსაც თავდაპირველად ჩატარდათ კონსერვატიული სტრატეგია, ოპერაციის რისკის პროგნოზირება რთულია.

ტაქიკარდია, ცხელება, ადგილობრივი მტკიცვეულობა, ლეიკოციტების რაოდენობის მონატება და ლაქტატის დონის მონატება შეიძლება მიუთითებდეს ნაწლავის იშემიაზე, მაგრამ ეს

მაჩვენებლები არ არის ძალიან სპეციფიკური. როდესაც ნაწლავის იშემია ნაკლებად სავარაუდოა, კონსერვატიული მიდგომა შეიძლება გაგრძელდეს 24-48 საათის განმავლობაში.

ზიელინსკი და ბანონი ბოლოდროინდელ მიმოხილვაში გვთავაზობენ პერორალური კონტრასტის საკვების მონაცემების კომბინირებას თავის პროგნოზულ მოდელთან, რომელიც განსაზღვრავს პაციენტებს ჯორჯლის შემუშავებით, წვრილი ნაწლავის ფეკალური ნიშნებით და გაუვალაობით 12 საათიდან მაღალი რისკის ქვეშ. ავტორები რეკომენდაციას იძლევიან განხორციელებს გადაუდებელი გამოკვლევა ნებისმიერ პაციენტში, რომელსაც აღენიშნება სტრანგულაციის ნიშნები ან ახალი მოდელის თვისებებიდან სამივე ჰოსპიტალიზაციისას, და არ აღენიშნებათ კონტრასტი მსხვილ ნაწლავში ჰოსპიტალიზაციიდან 8 საათის განმავლობაში.

გარდა ამისა, შრაუფნაგელმა და სხვებმა უნივარსიციულო ანალიზში აჩვენეს, რომ გართულებები, რეზექცია, სტაციონარში ხანგრძლივი ყოფნის დრო და სიკვდილი უფრო სავარაუდოა პაციენტებში, რომლებიც ჰოსპიტალიზირებული იყვნენ ASBO-ს გამო და ოპერაცია ჩაუტარდათ მეოთხე დღეს ან უფრო მოგვიანებით.

არა-ოპერაციული მართვა

არ არსებობს გრძელი მილის დეკომპრესიის უპირატესობა ნაწლავსტრალური მილის გამოყენებასთან შედარებით (მტკიცებულების დონე 1b GoR A).

თუმცა, ადრეულ მილით დეკომპრესია, decompression, გრძელი ან ნაწლავსტრალური მილით, შეიძლება იყოს სასარგებლო (მტკიცებულებათა დონე 2b GoR C) არა-სტრანგულაციური ASBO-ს თავდაპირველ მართვაში, სითხით რეანიმაციასა და ელექტროლიტური დისბალანსის კორექციასთან ერთად. ASBO-ს რთული შემთხვევებისთვის, გრძელი მილის უნდა ჩაიდგას რაც შეიძლება მალე, უფრო მიზანშეწონილია ენდოსკოპიით, ვიდრე არა ფლოუროსკოპიული მართვით.

ASBO-ს დროს გასტროგრაფინის გამოყენება უსაფრთხოა (ავადობისა და სიკვდილიანობის თვალსაზრისით) და ამცირებს ოპერაციის საჭიროებას, ალაგებამდე ან ობსტრუქციამდე დროს და სტაციონარში ყოფნის დროს (მტკიცებულების დონე 1a GoR A). მიუხედავად ამისა, აღწერილია ანაფილაქტიკური რეაქციისა და ლეტალური ასპირაციის შემთხვევები.

გასტროგრაფინი შეიძლება გამოყენებული იქნეს 50-150 მლ დოზით, პერორალურად ან NGT- ის საშუალებით, და შეიძლება მიეცეს როგორც დაუყოვნებლივ ჰოსპიტალიზაციისას, ასევე თავდაპირველი 48 საათის განმავლობაში ტრადიციული კონსერვატიული მკურნალობა მცდელობის შემდეგ (მტკიცებულების დონე 1b GoR A).

რაც შეეხება გასტროგრაფინის თერაპიულ ღირებულებას, ზოგიერთი ავტორები ადასტურებენ, რომ წყალ-ხსნადი კონტრასტი ამცირებს სტაციონარში ყოფნის დროს, მაგრამ არ ამცირებს ოპერაციის საჭიროებას, სხვები ამტკიცებენ, რომ ორივე ის ეფექტურია ოპერაციის საჭიროების შემცირების და ასევე სტაციონარში ყოფნის დროის შემცირების მხრივ,

გართულებებისა და სიკვდილობის მხრივ განსხვავების გარეშე.

შემდგომი დამზარე საშუალებების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ პერორალურმა

თერაპიამ მაგნიუმის ოქსიდით, L. acidophilus-ით და სიმეთიკონით შეიძლება დააჩქაროს კონსერვატიულად ნამკურნალევი ნაწილობრივი ASBO-ს ალაგება და შეამციროს სტაციონარში ყოფნის დრო (მტკიცებულების დონე 1b GoR A).

საფუძვლიანი დასკვნისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ჰიპერბარული ოქსიგენაციით (HBO) თერაპია, როგორც ჩანს, სასარგებლოა უფრო ხანდაზმული პაციენტებისათვის მაღალი ანესთეზიოლოგიური რისკით (მტკიცებულების დონე 2b GoR B). HBO თერაპიის შეიძლება იყოს ვარიანტი იმ პაციენტების მართვაში, რომლებშიც უნდა ვერიდოთ ოპერაციას.

დაყოვნებული ოპერაციის ჩვენება

როგორც წესი NOM, სტრანგულაციის ან პერიტონიტი ნიშნების არარსებობისას, შეიძლება გაგრძელდეს შეხორცებითი SBO-ს დროს 72 საათამდე (მტკიცებულების დონე 2b GoR C).

3 დღის შემდეგ თუ არ მოხდა ალაგება, რეკომენდებულია WSCA კვლევა ან ოპერაცია (მტკიცებულება 2b GoR C).

თუ გაუვალაობა გრძელდება 3 დღეზე მეტ ხანს, და დრენაჟის მოცულობა მე-3 დღეს > 500 მლ, რეკომენდებულია ოპერაცია ASBO- ს გამო. (მტკიცებულების დონე 2b GoR C).

ყურადღებით მონიტორინგით და გართულებებზე მომთითებელი ნიშნების არარსებობისას, დაკვირვების პერიოდი 10 დღეზე მეტი დროითაც კი ქირურგიული ჩარევის დაწყებამდე, როგორც ჩანს უსაფრთხოა.

თუმცა, ნებისმიერ დროს, თუკი დაიწყება ცხელება და აღინიშნება ლეიკოციტოზი 15 000 / მმ 3 -ზე მეტი (ნაწლავის მხრივი გართულებების პროგნოზული ფაქტორები) მაშინ NOM უნდა შეწყდეს და რეკომენდებულია ოპერაცია.

პაციენტები, რომლებიც არ რეაგირებენ გრძელი მილითა და კონსერვატიულ მკურნალობაზე 72 საათის განმავლობაში, არიან ASBO-ს რეციდივის მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ (მტკიცებულების დონე 2b GoR C). რეციდივების რისკის ფაქტორებია: ასაკი < 40 წელზე, გადახლართული შეხორცებები (მტკიცებულების დონე 1b GoR A) და პოსტოპერაციული ქირურგიული გართულებები.

გასტროგრაფინის გამოყენება გავლენას არ ახდენს რეციდივების სიხშირეზე ან რეციდივების სიხშირეზე, რომლებიც საჭიროებენ ოპერაციას, ტრადიციულად კონსერვატიულად ნამკურნალევი პაციენტებთან შედარებით (მტკიცებულების დონე 1b GoR A).

ქირურგიული მკურნალობა:

ღია თუ ლაპაროსკოპიული მიდგომა

ღია ოპერაცია უპირატესი მეთოდია სტრანგულაციური ASBO-ს ქირურგიული მკურნალობისთვის და უშედეგო კონსერვატიული მართვის შემდეგ (LOE 2c GOR C).

პაციენტების მაღალ-სელექტიურ ჯგუფში შეიძლება განხორციელდეს ლაპაროსკოპიის მცდელობა ღია წვდომის ტექნიკით (LOE 4 GOR C).

შეხორცებების გათიშვის მცდელობა უნდა მოხდეს უპირატესად SBO-ს პირველი ეპიზოდის შემთხვევაში

ან / და სავარაუდოდ ერთ-ზოლიანი შეხორცების შემთხვევაში (ანუ SBO აპენდექტომიის ან ჰიდტერექტომიის შემდეგ) (LOB 3b GOR C).

ღიაზე კონვერსიის დაბალი ზღურბლი უნდა შენარჩუნდეს გავრცელებული შეხორცების აღმოჩენის შემთხვევაში (LOE 2c GOR C).

კონვერსია ლაპაროსკოპიის დახმარებით ადჰეზიოლიზისზე (მინი-ლაპაროტომია 4 სმ-ზე ნაკლები განაკვეთით) ან ლაპაროტომიაზე უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად იმ პაციენტებში, რომლებსაც აღნიშნულ მკვრივი ან მენჯში არსებული შეხორცებები (LOE 3b GOR C).

ადჰეზიოლიზისის მოცულობა კვლავ კამათის საგანია. ადჰეზიოლიზისის მიდგომები ნაწლავური ობსტრუქციისთვის ზოგადი ქირურგებისათვის გაერთიანებულ სამეფოში შემუშავდა 1993 წელს. ყველა ქირურგებიდან ნახევარი თიშავდა ყველა შეხორცებებს ნაწლავის ობსტრუქციის რეციდივის პრევენციის მიზნით, ხოლო დანარჩენი ნახევარი შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმ შეხორცებების ადჰეზიოლიზისით, რომლებიც იწვევდნენ ობსტრუქციას.

მუცლის წინა კედლის შეხორცებების რისკი იზრდება ადრინდელი ლაპაროტომიების რაოდენობასთან ერთად, თუმცა ეს ურთიერთკავშირი არ არის ისეთივე აშკარა, როგორც ურთიერთკავშირი ადრინდელ ლაპაროტომიებსა და ადჰეზიოლიზისით გამოწვეულ ენტეროტომიას შორის.

უფრო მეტი ასაკი და ადრინდელი ლაპაროტომიების უფრო მეტი რაოდენობა, როგორც ჩანს, დაუგეგმავი ენტეროტომიის პროგნოზული ფაქტორებია. პაციენტებში სამი ან მეტი ადრინდელი ლაპაროტომიით აღინიშნება ენტეროტომიის სიხშირის 10-ჯერ მომატება ერთი ან ორი ადრინდელი ლაპაროტომიის მქონე პაციენტებთან შედარებით, რაც მიუთითებს გაცილებით მეტად მკვრივი შეხორცებების ფორმირებაზე ყოველი განმეორებითი ოპერაციის შემდეგ.

ისტორიულად, ლაპაროტომია და ღია ადჰეზიოლიზისი იყო მკურნალობა პაციენტებისთვის, რომლებიც საჭიროებდნენ ოპერაციას წვრილი ნაწლავის ობსტრუქციის გამო. სამწუხაროდ, ეს ხშირად იწვევს ინტრააბდომინალური შეხორცებების შემდგომ ფორმირებას, და პაციენტების დაახლოებით 10% - დან 30% საჭიროებს დამატებით ლაპაროტომიას ნაწლავური ობსტრუქციის რეციდივის გამო.

ცხოველთა მოდელებში ლაპაროსკოპიამ აჩვენა ინტრააბდომინალური შეხორცებების სიხშირის, გავრცელების და სიმძიმის შემცირება ღია ოპერაციასთან შედარებით, და ამგვარად ის პოტენციურად ამცირებს წვრილი ნაწლავის შეხორცებითი ობსტრუქციის რეციდივის სიხშირეს.

ტოლუტომამ და სკოტიმამ გამოიყენეს კითხვარი ყველა კონექტიკუტის შტატში რეგისტრირებული ზოგადი ქირურგებისათვის, და შეეცადნენ გაეგოთ მათი თვალსაზრისები ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისის (LLA) გამოყენების შესახებ წვრილი ნაწლავის შეხორცებითი ობსტრუქციის მართვაში შეხორცებების ღია ლიზისთან (OLA) შედარებით, უსაფრთხოების, უკუჩვენებების, და გამოსავლების მხრივ.

მათი თვით- ანგარიშების მიხედვით, გამოკითხულთა 60% იყენებდა LLA- ს პრაქტიკაში, ამ ჯგუფიდან 38% იყენებდა LLA-ს მათი შეხორცებითი SBO შემთხვევების 15% -ზე ნაკლებში.

15 წელზე მეტ ხანს ტრენინგის გარეშე ქირურგებთან შედარებით, უფრო მეტი რაოდენობის ქირურგები მიიჩნევდა LLA- ს უფრო უსაფრთხოდ (P = 0.03) და უკეთესი გამოსავლის მომტანად (P = 0.04) OLA-თან შედარებით. უფრო მეტი ქირურგი აკადემიურ / სასწავლო საავადმყოფოებში თვლიდა LLA-ს უსაფრთხოდ, ვიდრე ქირურგები არა-აკადემიური/ არა-სასწავლო საავადმყოფოებში (P = 0.04) და „გასტროინტესტინური და ენდოსკოპიური ქირურგების საზოგადოების“ / „ლაპაროენდოსკოპიური ქირურგების საზოგადოების“ მეტი წევრი თვლიდა LLA-ს უსაფრთხოს, ვიდრე არა ამ საზოგადოებების წევრები (P = 0.001).

ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ ბოლოდროინდელი ტრენინგები და მინიმალური ინვაზიური ქირურგიული ასოციაციების წევრობის ინტერესი გავლენას მოახდენს ქირურგების მიერ ლაპაროსკოპიული შეხორცებების ლიზისის არჩევანზე.

ლაპაროსკოპიას, როგორც ჩანს, გააჩნია უპირატესობა ლაპაროტომიის მიმართ მუცლის კედელსა და ნაოპერაციულ ადგილზე შეხორცებების ფორმირების თვალსაზრისით, რადგანაც არ არის შემდგომი ნაწიბური წინა პარიეტალურ პერიტონეუმზე და ასევე ჩვეულებრივ, გაუვალობის გამოკვლევა შემოიფარგლება ობსტრუქციის გამოწვევი მიზეზით, და დისექცია გრძელდება ტრეივის იოგამდე მხოლოდ მაშინ, როცა ობსტრუქციის მიზეზი არ არის გამოვლენილი.

ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისის წვრილი ნაწლავის ობსტრუქციისათვის გამო აქვს რამდენიმე პოტენციური უპირატესობა: (1) ნაკლები პოსტოპერაციული ტკივილი, (2) ნაწლავის ფუნქციის სწრაფად აღდგენა, (3) უფრო ხანმოკლე სტაციონარში ყოფნის დრო, (4) შემცირებული გამოჯანმრთელების დრო, რომელიც იძლევა სრულ აქტივობამდე უფრო ადრე დაბრუნების საშუალებას, (5) ჭრილობის გართულებების შემცირება, და (6) პოსტოპერაციული შეხორცებების ფორმირების შემცირება.

ეს მონაცემები დამტკიცებულია მეტა-ანალიზში, რომელშიც მინგ-ჟე ლიმ და სხვებმა აღმოაჩინეს, რომ არ არსებობდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ღია და ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისებს შორის ნაწლავის ინტრაოპერაციული დაზიანებების რაოდენობის, ან ჭრილობის ინფექციების, ან საერთო სიკვდილიანობის მხრივ. მეორეს მხრივ, იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ფილტვის მხრივი გართულებების და გასანგრძლივებული გაუვალობის მნიშვნელოვანი შემცირების მხრივ ლაპაროსკოპიის ჯგუფში ღია ჯგუფთან შედარებით. ავტორები ამტკიცებენ, რომ ლაპაროსკოპიული მიდგომა უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ღია პროცედურა, მაგრამ როდესაც მას ატარებენ გამოცდილი ლაპაროსკოპისტი ქირურგები სელექტიურ პაციენტებში.

გარდა ამისა, სტეფანიაანმა და სხვებმა დააფიქსირეს, რომ მინიმალური ტრავმა, ოპერაციის მოკლე ხანგრძლივობა, კარგი კოსმეტიკური შედეგები

დაპოსტოპერაციული პერიოდის გაურთულებელი მიმდინარეობა მიუთითებს ლაპაროსკოპული მიდგომის ეფექტურობაზე.

ლაპაროსკოპიური ადჰეზიოლიზისის შესახებ კონსესუსის კონფერენციაზე, იტალიელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია გამოკვლევითი ლაპაროსკოპიის შემდეგ პაციენტების ინტრაოპერაციული შერჩევის მეთოდი, რადგანაც ეს მიდგომა საშუალებას აძლევს მრავალ პაციენტს, ისარგებლოს ამ მინი ინვაზიური პროცედურით. ისინი ეთანხმებიან, რომ ერთადერთი აბსოლუტური გამორიცხვის კრიტერიუმები SBO-ს დროს ლაპაროსკოპიური ადჰეზიოლიზისთვის არის პნევმოპერიტონეუმთან დაკავშირებული (მაგ. ჰემოდინამიკის არასტაბილურობა ან კარდიოპულმონური გაურთულება); ყველა სხვა უკუჩვენება ფარდობითია და უნდა იქნა განხილული თითოეული შემთხვევის საფუძველზე, ქირურგის ლაპაროსკოპიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, თუ არ მოხდა ნაწილობრივი არასრული SBO-ს ალაგება (უარყოფითი გასტროგრაფინის ტესტის შემდეგ) და ქრონიკული ობსტრუქციული სიმპტომების არსებობა არის იდეალური ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისის გამოყენებისათვის, კონვერსიის ისეთი დაბალი სინშირით, როგორც 8.7%

თუმცა, დღემდე არ არსებობს რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევები ღია და ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისის შესადარებლად, კვლავაც არ არის კარგად გაგებული ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისის ზუსტი ჩვენებები და სპეციფიკური შედეგები შეხორცებითი SBO- ის დროს. ერთადერთი RCT-ით ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისის შესახებ შეფასდა ქრონიკული მუცლის ტკივილის შემთხვევების სინშირე ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისის მიმართ ან მკურნალობის არარსებობის მიმართ რანდომიზაციის შემდეგ დიაგნოსტიკური ლაპაროსკოპიის დროს და მან ვერ აჩვენა რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ტკივილის ან დისკომფორტის მხრივ.

თუმცა, მონაცემები რეტროსპექტიული კლინიკური კონტროლირებული კვლევებიდან მიუთითებს, რომ ლაპაროსკოპია, სავარაუდოდ, ეფექტური და უკეთესია სტაციონარში ყოფნისა და სიკვდილიანობის შემცირების თვალსაზრისით.

რეტროსპექტიული ანალიზით გრაფენმა და სხვებმა შეადარეს

ASBO- ის ლაპაროსკოპიული მართვის შედეგები ორივეს-გამოკვლევითი ლაპაროტომიისა და ღია ოპერაციაზე მეორადი კონვერსიისათვის. 93 პაციენტი დაიყო წარმატებული ლაპაროსკოპიის (71%), მეორადი კონვერსიის (26%) და პირველადი ლაპაროტომიის (3%) ჯგუფებად. პირველს ჯგუფს აღენიშნებოდა უფრო მარტივი შეხორცებები, ნაკლები ადრინდელი ოპერაციები, უფრო დაბალი ASA ქულა, უმოკლესი ოპერაციული დრო, ისევე როგორც ინტენსიური მოვლის განყოფილებაში ყოფნისა და სტაციონარში ყოფნის ნაკლები დროები; გარდა ამისა, ისინი იყვნენ უფრო ახალგაზრდები და ჰქონდათ უფრო ხანმოკლე SBO მათ ოპერაციამდე. მიუხედავად ამისა, ავადობა იყო 6%, ოპერატიული ტექნიკის მიუხედავად. უფრო მეტიც, ავტორებმა

აღმოაჩინეს, რომ იმ პაციენტების მართვა, რომლებსაც ადრე ჰქონდათ ჩატარებული მხოლოდ აპენდექტომია ან ქოლეცისტექტომია, შესაძლებელი იყო ლაპაროსკოპიულად მეორადი კონვერსიის საჭიროების გარეშე; მეორეს მხრივ, ჰქონდათ განხგრძობილი გაუვალობა (საშუალოდ 4.3 დღე) მუცლის პროგრესული შებერილობით და უფრო მეტ რაოდენობას სჭირდებოდა ადრინდელი ოპერაციების დროს პირველადი ლაპაროტომია.

საბოლოოდ ღია ადჰეზიოლიზისზე კონვერსიის მიზეზები იყო: არადექვატური ლაპაროსკოპიული კონტროლი ნაწლავების შეხორცობის გამო, გავრცელებული შეხორცებები, იატროგენული პერფორაციები და ნეკროზული სეგმენტების რეზექცია.

ღია ან ლაპაროსკოპული მიდგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რომ ქირურგი იყოს ტრენირებული და ჰქონდეს დახვეწილი ლაპაროსკოპიის ჩატარების უნარ-ჩვევები.

პაციენტის სელექციასთან დაკავშირებით, პირები პერილი ნაწლავის მწვავე ობსტრუქციით და პერიტონიტით, თავისუფალი პაერით ან განგრენოზული ნაწლავით საჭიროებენ გადაუდებელ ოპერაციას, და მათი მართვა უმჯობესია ლაპაროტომიით. პაციენტები პერიტონიტის გარეშე, რომლებშიც არ მოხდება ალაგება არა-ოპერაციული მართვით, მიზანშეწონილია ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისი. ამ შემთხვევებში, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას ნაწლავის დიამეტრი, მუცლის შეხორცობის ხარისხი და ობსტრუქციის მდებარეობა (მაგ. პროქსიმალური თუ დისტალური). სუტურმა და სხვებმა აღმოაჩინეს, რომ ნაწლავის 4 სმ-ზე მეტი დიამეტრი ასოცირდებოდა კონვერსიის გაზრდილ მაჩვენებელთან: 55% შედარებით 32%-თან. პაციენტებში დისტალური და სრული წვრილი ნაწლავის ობსტრუქციით აღინიშნება ინტრაოპერაციული გართულებების ზრდა და კონვერსიის რისკის ზრდა. პაციენტებში პერსისტული მუცლის შეხორცობით ნაზოგასტრალური ინტუბაციის შემდეგ ლაპაროსკოპიით წარმატებული მკურნალობა ნაკლებად სავარაუდოა.

მკვრივი შეხორცებებისა და ადრინდელი ოპერაციების რაოდენობის გავლენა ლაპაროსკოპიური ადჰეზიოლიზისის წარმატებაზე საკამათოა. ლეონი და სხვები აცხადებენ, რომ მძიმე ან გავრცელებული მკვრივი შეხორცებების დოკუმენტირებული ანამნეზი ლაპაროსკოპიის უკუჩვენება. ამის საპირისპიროდ, სუტურმა და სხვებმა ვერ აღმოაჩინეს კორელაცია ადრინდელი ოპერაციების რაოდენობა და ტიპსა და წარმატებული ლაპაროსკოპიული ოპერაციის ალბათობას შორის. არ გამოვლინდა სხვა ფაქტორების, როგორცაა ლიეკოციტების მომატებული რაოდენობა ან ცხელება, კორელაცია კონვერსიის სინშირის ზრდასთან. პაციენტების ერთი ჯგუფი, რომლებიც ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზის კარგი კანდიდატები არიან, რომლებშიც: არ მოხდა ალაგება, ადე ნიშნებათ ნაწილობრივი წვრილი ნაწლავის ობსტრუქცია ან მორეციდივე ქრონიკული წვრილი ნაწლავის ობსტრუქცია, როგორც ეს აჩვენასხვა კვლევამ.

ASBO-ს 2000-ზე მეტი შემთხვევის ირლანდიური

სისტემური მიმოხილვის თანახმად, 1284 (64%) წარმატებით უმკურნალებს ლაპაროსკოპიული მიდგომით, 6.7%-ს ლაპ-დახმარებით და 0.3%-ში მოხდა კონვერსია თიაქრის აღდგენაზე, შუა-ხაზოვან ლაპაროტომიაზე საერთო კონვერსიის მაჩვენებელი იყო 29%. მკვრივი შენორცებები, ნაწლავის რეზექცია, დაუდგენელი პათოლოგია და იოტროგენული დაზიანება იყო უმეტესი კონვერსიის მიზეზი. როდესაც ეტიოლოგია განეკუთვნება ერთ-ზოლიან შენორცებას, წარმატების მაჩვენებელი იყო 73.4%. ავადობა და სიკვდილიანობა შესაბამისად იყო 14.8% და 1.5%. დაუბეგმავი ენტეროტომიის მაჩვენებელი 6.6% იყო. ამ პერსპექტივაში ლაპაროსკოპია როგორც ჩანს, ASBO -ს განხორციელებადი და ეფექტური მკურნალობაა ავადობის მისაღები მაჩვენებლით.

ნაკვზმა და სხვებმა დაადგინეს, რომ როდესაც ობსტრუქციის მიზეზი იყო ერთ-ზოლიანი შენორცება, ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზის იყო წარმატებული 100% -ით.

როდესაც აღმოჩენილია სხვა ეტიოლოგიები, რომორიცაა შიდა თიაქარი, საზარდულის თიაქარი, სიმღვივე, ნაწლავის ანთებითი დაავადება, ნაწლავების ინვაგინაცია და ნადვლეკენჭოვანი გაუვალობა, ხშირად საჭირო ხდება მინილაპაროტომიაზე ან ფორმალურ ლაპაროტომიაზე კონვერსია.

მუცლის განმეორებითი განხნის დროს დაუბეგმავი ენტეროტომია ან შემდგომი შენორცებების გაკვეთა არის ოპერაციის შემდგომი შემაშფოთებელი გართულება ადრინდელი ლაპაროტომიის შემდეგ. მისი სიხშირე შეიძლება იყოს მაღალი, როგორც 20% ღია ოპერაციისას და 1% და 100%-ს შორის ლაპაროსკოპიისას.

ინტრაოპერაციული ენტეროტომიების სიხშირე ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზის დროს 3% -დან 17.6% -მდე მერყეობს, და ავტორთა უმეტესობის აზრით მისი სიხშირე შეადგენს დაახლოებით 10% -ს.

ოპერაციის ერთ-ერთი ყველაზე შემაშფოთებელი გართულებაა გამორჩენილი ენტეროტომია. მიუხედავად იმისა, რომ გამორჩენილი ენტეროტომია შეიძლება მოხდეს ლაპაროტომიის შემდეგ, შემთხვევათა სიხშირე უფრო მაღალია ლაპაროსკოპიული ოპერაციის დროს.

გრძელვადიანი შედეგები რეციდივთან დაკავშირებით შეზღუდულია, უმეტესობა სერიაში აღინიშნება საშუალო შემდგომი დაკვირვების პერიოდი 12-სა და 24 თვეს შორის.

დიაგნოსტიკური ლაპაროსკოპიის ეფექტურობა ცვალებადობს 60% -დან 100%-მდე, ხოლო ლაპაროსკოპიული მიდგომის თერაპიული ეფექტურობა დაბალია (40-88%). პროგნოზული ფაქტორები წარმატებული ლაპაროსკოპიული ადჰეზიოლიზისათვის შემდეგია: ადრინდელი ლაპაროტომიების რაოდენობა ≤ 2 , არა-მედიანური ადრინდელი ლაპაროტომია, აპენდექტომია, როგორც შენორცებების გამომწვევი ადრინდელი ქირურგიული მკურნალობა, მხოლოდ ერთ-ზოლიანი შენორცება როგორც წვრილი ნაწლავის ობსტრუქციის პათოგენური მექანიზმი, ადრეული ლაპაროსკოპიული მართვა სიმპტომების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში, პერიტონიტის ნიშნების არარსებობა ფიზიკალური გასინჯვისას, ქირურგის გამოცდილება.

ქირურგიული ოპერაციის დრო უფრო მეტია

პაციენტებში, რომლებსაც ჩაუტარდათ ლაპაროსკოპიული ოპერაცია იმ პაციენტებთან შედარებით, ვისაც ჩაუტარდა ლაპაროტომია.

